სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა.

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
6
ივნისი
N 67 (10460)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

კომისიამ შეაჯამა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები.

ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი—36044810.. არჩევნების მონაწილეთა რიცხვი—2978247, კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი—2968945, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი—39018;

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა:

ბატონი ზვიად გამსახურდია—2565362, ბატონი ირაკლი შენგელაია—26886, ბატონი ჯემალ მიქელაძე—51717, ბატონი ვალერიან ადვაძე — 240243, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე—853, ბატონი ნოდარ ნათაძე—36266.

3. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის თანახმად,

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად იქნეს ცნობილი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა

### ბატონი ზვიად გამსახურდია

დაბადებული 1939 წელს, ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ მიერ.

### ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ტერიტორიული, საქალაქო და საოლქო კომისიების თავმჯდომარეებმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საფინანსო ანგარიში უნდა ჩამოიტანონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად არა უგვიანეს 15 ივნისისა.

## დროა შეიგნონ

ჩვენს თვალწინ უჩვეულო სიმძაფრით ვითარდება მოვლენები, არა მარტო უნიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში, არამედ მთელ მსოფლიოში დიდი ძვრებია. ძლიერდება შფოთი, მღელვარება იმ სახელმწიფოებში, სადაც ათეულ წლობით ფესვი ჰქონდა გადგმული დიქტატურულ რეჟიმს, ათასნაირ დისკრიმინაციას, რასიზმის ელემენტებს. პრესას, ტელევიზიას მოაქვს შემაშფოთებელი ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ ხოცავენ ერთმანეთს სხვადასხვა მრწამსისა და რელიგიის მიმდევარი ადამიანები. არის ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკებები სახელმწიფო საზღვრების გამო. დღეს ადამიანებს ვერ მოატყუებ. ყველას თვალი აეხილა. კარგად ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ამ მღელვარე პროცესებს აქეზებენ გარკვეული პოლიტიკური ძალები თავიანთი დესტრუქციული ზრახვებით. სახეზეა რეაქციული და დემოკრატიული ძალების ურთიერთ დაპირისპირება. მეტწილ შემთხვევაში იმარჯვებს ეს უკანასკნელი. ვადაზე ადრე გაჰყავთ ჯარები ანგოლიდან კუბის ხელისუფლებს. ეთიოპიაში დაემხო კომუნისტური რეჟიმი და ა. შ.

ტრაგიკული კოლიზიებით, ავბედითი ზიგზაგებით მიედინება ცხოვრება საბჭოთა იმპერიაშიც. რიგმა რესპუბლიკებმა გადაჭრით, ცალსახად გამოხატეს თავიანთი ნება სრული დამოუკიდებლობის თაობაზე. მაგრამ ცენტრი, მის მიერ წაქეზებული დესტრუქციული ძალები არ ერიდებიან პროვოკაციებს, შანტაჟს, რათა ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირის დაშლის კანონზომიერი პროცესი შეაჩერონ.

ამასწინათ ჩემი ყურადღება მიიპყრო ედუარდ შევარდნაძის განცხადებამ, რომელიც მან ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთერთ შეხვედრაზე გააკეთა. მისი თქმით, ამ ბოლო სამ-ოთხ თვეში თუ საბჭოთა კავშირში არ გადაწყდება უმნიშვნელოვანესი პრობლემები, ქვეყანას ემუქრება გამანადგურებელი დიქტატურაო, ჰე დავთ, მკითხველო! ისევ დაშინების, მუქარის ტონი. თურმე იმპერიაში რაც გაჭირვებებია, დანარჩენი მსოფლიოს ბრალია და თუ სასწრაფო დახმარებას არ აღმოუჩენენ დაშეულ მასას, მასშტაბური კატასტროფა ემუქრება. ამაოდ აშინებთ ცივილიზებულ სამყაროს, ბატონებო, მიზეზი შექმნილი მდგომარეობისა იმ ტოტალიტარულ, ერთპარტიულ რეჟიმშია, რომელსაც დღემდე არ ელევით. დიქტატურა ვერ გამოგიყვანთ ამ ჩიხიდან. მხოლოდ დემოკრატიის, ხალხთა თვითგამორკვევის, პროგრესის გზით გახდება შესაძლებელი ნორმალური ცხოვრების მოწყობა.

დროა, შეიგნონ ეს ჭეშმარიტება.

ლ. შენგელია,
ჩვენი კორ.

## უნარიანი ადამიანებიც გამოჩნდებიან

უჩვეულო მასშტაბის წინაღობები აღიმართა ჩვენს წინაშე. წლების მანძილზე გადაუწყვეტელი, ან უკუღმართად გაგებული პრობლემები ყოველი მხრიდან გვიტევს. მართალია, ყოველივე ეს უკიდურესად ძაბავს სოციალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროს, იწვევს მშრომელთა უკმაყოფილებსას. მაგრამ ნიშანდობლივი ის არის, რომ თავჩენილი სიძნელეების ობიექტურ მიზეზებსაც სწორად აანალიზებს ხალხი. რაც მთავარია, სასოწარკვეთას როდი ეძლევიან ადამიანები. არაფერს ვიტყვით ბუნებით უქნარასა და მეჩრდილიეზე. გარჯის მოყვარულ ნებისმიერ ქართველს, თუ არაქართველს განუყრელად თან სდევს იმედი და რწმენა, რომ სიძნელეებს თანდათან გადავლახავთ და რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინების ფართო შარაგზაზე გავალთ.

ამ წერილში მოკლედ მინდა შევეხო ერთ პრობლემურ საკითხს. ეს არის საწარმოთა პრივატიზაციის პრობლემა. წლების მანძილზე მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ იზღუდებოდა თავისუფალი მეწარმეობა, პირადი ინიციატივა, მეურნული დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა. ამან, საბოლოო ჯამში ჩიხში შეიყვანა სახალხო მეურნეობა. ამჟამად სიტუაცია, პრობლემებისადმი მიდგომები სხვანაირია. კურსი აღებულია იქითკენ, რომ მოქმედ საწარმოებში მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის. წარმოების მართვაში მაქსიმალურად ჩაებან რიგითი მშრომელები. მათვე სამართლიანობის პრინციპით წილი დაიდონ საერთო ძალისხმევით მოპოვებულ სოციალურ სიკეთეში. თანდათან იკვეთება გზა აქციონერული გაერთიანებებისაკენ, რომელიც წარმოების დემოკრატიული სტრუქტურების დამკვიდრების გარანტიად გვესახება. ამ ჭრილში უნდა წარიმართოს პრივატიზაციის პროცესი, სადაც პირველ რიგში აქცენტი უნდა გაკეთდეს საშუალო და მცირე მასშტაბის საწარმოებზე.

იმედი მრჩება, რომ ამ მიმართულებით უფრო ინტენსიურად გაიშლება მუშაობა ჩვენს ქალაქსა და რაიონში. ამ გზაზე თანდათან გამოიკვეთება პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მეურნული ალღოთი წასწევენ ჩვენს ეკონომიკას.

ა. დაგარგულია.

## „ისმინე, სწავლის მძებნელო!“ ანუ გზა ტაძრისაკენ

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამ წერილით ჩემი მშობლიური სკოლისათვის ჩრდილის მიყენება მინდოდეს. მე ერთი, ბოლო, დამამთავრებელი წელი ვისწავლე ზუგდიდის ეროვნული, ექსპერიმენტულ-პროფილირებული სწავლების სკოლაში და მთლიანად აღვადგინე ის დანაკარგი, რაც დამაკლდა ჩემს მშობლიურ, მაგრამ იმპერიული სულით გაჟღენთილ „ზოგადსაგანმანათლებლო-სავალდებულო სწავლების სკოლაში“, სადაც აუარებელ, ჩვენთვის სრულიად არაფრის მომცემ საგნებთან ერთად, „დიდი მიწის ბრძანებით“, „მცირე მიწასაც“ იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქნაზე“ უფრო გულმოდგინებით გვატენიდნენ თავში...

ღმერთის უარმყოფელი პოლიტიკის მიმდევარნი ღმერთმა დასწყევლა ალბათ, რომ მათმა პოლიტიკამ გლეხი მიწას მოსწყვიტა, ხოლო მოსწავლე—წიგნს. ჩემი აზრით კი: მიწისა და წიგნის სიყვარული და მიზნობრივი გამოყენება—აი, ქვეყნის ეკონომიკის ბერკეტი!—ცუდად ვთქვი? არა მგონია.

ჩემი მშობლებიც პედაგოგებია და ჩემს მშობლიურ სკოლაში მასწავლიდნენ. მაგრამ მამაჩემმა, როგორც კი გაიგო ამ ტიპის სკოლის გახსნა, მაშინათვე დიდი სიხარულით, მაგრამ სინანულნარევი სიხარულით წამომიყვანა აქეთ. სინანულნარევი იმიტომ, რომ ერთი წელი მქონდა დარჩენილი და არა—სამი.

კლასში, სადაც ყველა მოსწავლე ცოდნის წყურვილითაა ანთებული, მოწოდებით მასწავლებელი და შენი საგნის ვირტუოზი უნდა იყო, რომ ბავშვებმა გიგუონ. უამისოდ ის კონტაქტი არ დამყარდება და ის შედეგი არ მიიღწევა, რასაც ჩვენი პედაგოგები ახერხებენ. ან რა შედეგს უნდა ელოდო იმ კლასიდან, სადაც 30 მოსწავლიდან მარტო ორი თუ ცოდნას მოწყურებული, ხოლო 28 ფიქრობს, როგორ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## საშურია ყოველი დღე

სოფლის მეურნეებს სწორედ ახლა უდგათ საშური დღეები. იქნებიან ესენი მხვნელ-მთესველები, თუ მწვანე მინდვრის ოსტატები.

ჭითაწყარის კოლმეურნეობაში დროულად, აგროვადებში დაამთავრეს ერთწლიანი კულტურების თესვა 80 ჰექტარზე, საიდანაც 10 ჰექტარი დათმობილი აქვს მრავალწლიან ბალახებს, 20 სამარცვლე სიმინდს, დანარჩენი სასილოსე მანს.

ჩაის კრეფის ცხარე დღეებია სოფლად. მაის-ივნისში გათვალისწინებული 350 ტონიდან დამზადებულია 170 ტონა. პირველი ვეგეტაციის ჩაის გადალება გარანტირებულია 10 ივნისისათვის.

საკრეფად გავიდა 4 მობილური მანქანა. დღეისათვის დამზადებულია და მრეწველობას ჩაბარდა 40 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

## დაყოვნება უდროს დახაკარგებს

ჩაის კულტურას კოლმეურნეობა „კოლხიდაში“ 116 ჰექტარი უკავია. აქედან სავარაუდოდ მათ უნდა მიიღონ 800 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

მაისში ამინდის ჭირვეულობამ შეაფერხა, უფრო სწორად გადასწია კრეფის ვადები, რამაც გამოიწვია ჩაის გადაუხეშება.

„კოლხიდელებმა“ მაისში 100 ტონა ნედლეული დაამზადეს, აქედან მცირე მექანიზაციით იკრიფებოდა 13 ჰექტარზე განლაგებული პლანტაცია.

# დიდი მდინარის მაცოცხლებელი

## ინტერვიუ

მართლაც წამია, „წამწამთა მსწრობელი წამი" ადამიანის სიცოცხლისათვის განკუთვნილი დროის მდინარება. მაგრამ არ ეპუება მასზე უფრო სულსწრაფი კაცი ისარივით წინგაჭრილ დროს, უსაზღვროა მისი წადილი შეიმეცნოს შეუცნობელი, რომელიც მით უფრო ლამაზი და მიმზიდველია—რამდენადაც უცხო, იდუმალი და ამიტომაც შიშისმომგვრელიც.

არ უპუება ადამიანი დროის, სივრცისა და შეუცნობელის შიშს და ილვწის... მისი შემოქმედებითი გატაცება მისი სიცოცხლის მხუბუქი და თეთრი ფრთებია.

და ჰგავს კაცი ზღაპრულ ფრინველს, უსასრულო ფირუზისფერ ცაში ნეტარებით მოლივლივეს.

ასეთები ჩვენს ქალაქშიც ბევრია. მათ გადაწყვიტეს გაერთიანდნენ, ერთად ილვაწონ, უწილადონ ერთურთს თავიანთი სულის ნაყური, თბილი ცრემლი, ტკბილი ჰანგი, სხარტი აზრი, მოხდენილი რითმა...

ასე შეიქმნა შემოქმედთა ნებაყოფლობითი გაერთიანება—საზოგადოება „აია". საზოგადოებას თავკაცობს ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმრენტგენოლოგი, ფოლკლორული პოეზიის ღრმა მცოდნე, ქართველური ენების შესწავლითა და კვლევით ფრიად გატაცებული პიროვნება ედემ იზორია.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ინტერვიუს, რომელიც მას ჩამოვართვით.

**—ბატონო ედემ, გვინდა რამდენიმე შეკითხვით მოგმართოთ. ვიმედოვნებ, საუბარი გულახდილი გამოგვივა. მაშ ასე: როდის შეიქმნა, რა მიზნებს ისახავს საზოგადოება „აია" და ვინ შეიძლება გახდეს მისი წევრი?**

—შემოქმედთა ნებაყოფლობითი რეგიონალური საზოგადოება „აიას" დაბადების დღეა 1990 წლის 5 ოქტომბერი. იგი რეგისტრირებული ორგანიზაციაა გახლავთ, გააჩნია თავისი წესდება და პროგრამა. „აია" რეგიონალური გაერთიანებაა. მასში გარდა საკუთრივ ზუგდიდისა, მონაწილეობენ წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, გალის მკვიდრი შემოქმედი ადამიანები. ძირითადი მიზანია: შევიცნოთ თავი ჩვენი, მივხედოთ წარსულს, შევისწავლოთ, აღვადგინოთ და გავითავისოთ წინაპართა დიდებული ტრადიციები, ჩვევები, ადათ-წესები, მათი დიდებული და ფენომენალური მუსიკალური ენა, პოეზია, თქმები, ზღაპრები, სიმღერები და ა. შ.

საზოგადოების ამოცანაა წარმოაჩინოს დღევანდელი ჩვენი სულიერი და მატერიალური ყოფა, თესოს სიყვარული და აფრქვიოს ღიმილი, რათა დანგრეული და განადგურებული წარსულის ბურუსში აკიაფდეს კეთილი მომავალი.

„აია" არაა პოლიტიკური ორგანიზაცია. მასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პარტიის წევრები, მაგრამ საოცარია მათი ერთსულოვნება ილვაწონ ერთიანი, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოსათვის, რათა პიროვნების, ოჯახის, სოფლის, საწარმოს და ა. შ. ავტონომია ანუ თავისუფლება იყოს დაუთრგუნველი, რამეთუ არ არსებობს შემოქმედება თავისუფლების გარეშე...

საზოგადოების წევრობის არგუმენტად, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, რწმენისა, პოლიტიკური მრწამსისა საკმარისია შემოქმედებითი ტკბობისა და ალქმის ცხოველი ინტერესი და არა მაინცა და მაინც შემოქმედებითი შედევრების შექმნისათვის აუცილებელი ატრიბუტები: განსაკუთრებული ნიჭი, გრუდიცია, უნარი და ა. შ.

საზოგადოებას ფუნქციონირებისათვის სჭირდება სახსრები, მატერიალური ბაზა, რისთვისაც „მრეწვშენბანკის" ზუგდიდის განყოფილებაში გახსნილი აქვს ანგარიში № 46019. ცნობისათვის ვიტყვი, საზოგადოების დროებითი ადგილსამყოფელი განთავსებულია საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების შენობის პირველ სართულზე.

ვსარგებლობ შემთხვევით და წინასწარ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ჩვენს დახმარებასა და თანადგომას განიზრახავს.

**—მე ვიცი, რომ თქვენ მშვენიერი საკუთარი ლექსები გაქვთ. პირველად როდის, რა ასაკში იგრძენით „ქალბატონ მუზას" მოწყალე მზერა?**

—მეექვსე კლასის მოსწავლე გახლდით, როცა პირველი ლექსი დავწერე... პირველმაისობაზე! მელანს შემშრალება არ ვაცალე, ვაფრინე ლექსი „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში. რა თქმა უნდა, არ გამოქვეყნებულა. წერილობით შემატყობინეს—მხატვრულად სუსტიაო. გული დამწყდა. დავიფიცე, ლექსი არასოდეს დამეწერა.. მაგრამ იმ დღიდან გავიდა თითქმის 20 წელიწადი და ლექსის მადლმა ისევ მომძებნა...

**—ქართველურ ენებზე მსჯელობისას მავანთაგან მსმენია, რომ მეგრული ენა თავისთავადი, ჩამოყალიბებული ენაა, ზოგიც იტყვის დიალექტიაო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

—მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ მეგრული ენა არის პირობითად აღებული ზანური ენის დიალექტი, ისევეა ჭანური ენაც. ხოლო ჭანური და მეგრული ერთმანეთის მიმართ დიალექტებია. თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ საკითხისადმი მეცნიერთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. კერძოდ თვლიან, რომ უკვე ორივე ენა-ჭანური და მეგრული—ერთმანეთთან მიმართებაშიც ცალ-ცალკე მონათესავე ენებია. ჩემი ღრმა რწმენით კი, მეგრული თავისთავადი ენაა და თანაც—ფენომენალური.

**—კეთილი, მაგრამ არ შემიძლია არ გკითხოთ: რა არგუმენტები გაგაჩნიათ თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად?**

—მე გიპასუხებთ საზოგადოება „აიას" თავმჯდომარის მოადგილის ბატონ შამანტი ძაძამიას სოციო მეცნიერულ აღმოჩენებზე დაყრდნობით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მან აღწერა ერთი მეგრული სიტყვა-ზმნის „ულა" (სვლა)-ს 2800 ეპითეტურ-სინონიმური ფორმა. მაგრამ რადგანაც მეგრულ ზმნას გააჩნია 60 ზმნისწინზე მეტი, რომლებიც ასევე სცვლიან იმ 2800 ზმნის სემანტიკურ და ფონეტიკურ სახეს, მათი ნამრავლი (60-ჯერ 2800) გვაძლევს 168 ათას ლექსიკურ ერთეულს. ახლა თქვე წარმოიდგინეთ რამდენ ლექსიკურ ერთეულს მოგვცემს მეგრული ენის ზმნის მთლიანი ლექსიკური მარაგი!

მეგრული ენა იმათაც არის ფენომენალური, რომ მასში ადამიანის მეორე სასიგნალო სისტემის შექმნის პერიოდის დროინდელი ბგერებია შემორჩენილი; ესე იგი იმ დროის ბგერები, როცა ადამიანს მეტყველება ჯერაც არ შეეძლო, მაგრამ ბუნების მოვლენებთან (ბგერითი რხევები) დაკავშირებით ცდილობდა ამ მოვლენების (ხმა ანუ ბგერითი რხევები) სიგნალად გამოყენებას. მაგალითად. მეგრულში დღესაც წყლის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ფორმაა „წა", რომელიც წარმოიქმნა წოვის ფიზიოლოგიური პროცესის დროს წარმოქმნილი ბგერითი რხევების (ხმის) ადამიანის სამეტყველო ორგანოთა მიერ გადმოღებით, იმიტირებით. ასევეა „შ" ბგერა, რომელიც ნიშნავს სველს, სისველეს და იმიტირებულია ფოთოლთა შრიალსა თუ წყლის ხმაურისაგან. მსგავსი მაგალითები უამრავია.

**—თქვენ ალბათ გახსოვთ ორიოდე წლის წინანდელი ჩვენი პრესის ფურცლებიდან, რომ რუსეთში მოღვაწე ერთ ცნობილ ქართველ პროფესორს მშობლიურ ენად მეგრული დაუსახელებია, რამაც საზოგადოებრიობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და, ვფიქრობ, სამართლიანადაც. საინტერესოა თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.**

—მე ვთვლი, რომ იმ პროფესორმა, უბრალოდ, არ იცოდა ქართული. უფრო სწორად, მან არ იცოდა მეგრულისა და რუსულის გარდა სხვა ენა და ამიტომ არ მოიხსენია მშობლიურ ენად ქართული. ჩემთვის იგივე პირობებში იგივე რომ ეკითხათ ვუპასუხებდი: რა თქმა უნდა, ჩემთვის მშობლიურია მეგრული ენა, მაგრამ ჩემთვის ასევე მშობლიურია ქართული, სვანური, ლაზური მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მე მათ არათანაბრად ვფლობდე. მაგრამ ყველა ქართველი უნდა მიისწრაფოდეს შეისწავლოს, შეიმეცნოს, გაიმშობლიუროს ჩვენი ერის ყველაზე უნიკალური განძი—ჩვენი ენები, ჩვენი თქმები და ა. შ. ასეთია ჩვენი მითაყამიდან მომდინარე, გაერთხორცებული ისტორიული ბედი. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამას გულისხმობდა ზემოთხსენებული პროფესორი?!

**—გამოდის, რომ თქვენთვის მშობლიურია ოთხი ენა?!**

—რა თქმა უნდა, ჩემთვის, სამწუხაროდ, არაა თანაბრად მშობლიური მეგრული, ქართული, სვანური, ლაზური, მაგრამ მე მინდა ჩემმა შვილებმა, შვილიშვილებმა, ჩვენმა მომავალმა თაობებმა ისე აითვისონ და გაითავისონ ეს ენები, რომ მათ თამამად შეეძლოთ თქვან ნებისმიერი ქართველური ენების მიმართ მშობლიურიაო. სწორედ მაშინ მოეხსნება ყოველ ქართველს ყველაზე საშიშარი სიმდიდრის—ქართველური ენების მიმართ გაუცხოების სინდრომი. და შეიქმნება უძლეველი და უმშვენიერესი ენა მსოფლიოში...

**—როგორ ფიქრობთ, რას უქადის ხვალინდელი დღე მეგრულ ენას?**

—ყოველგვარი მოიარების გარეშე უნდა ვთქვა: ჩვენ (მხედველობაში მყავს ჩვენი რეგიონის მოსახლეობა) შეგვაჩვიეს მრავალგვარ გაუცხოებასა და ნიჰილიზმს. მაგრამ ყველაზე უარესია ის, რომ ჩვენვე ვივიწყებთ და უარვყოფთ ამ მშვენიერ ენას. ეს კი მას კარგს არაფერს უქადის. თუ ჩვენ არ შემოვბრუნდით მისკენ სახით, ის დაიღუპება და დაიშრიტება საერთოქართველურის ერთ-ერთი უდიდესი შენაკადი.

**—საკმაოდ თამამი მსჯელობაა. მავანმა და მავანმა სეპარატისტიაო რომ წამოგძახოთ, რას უპასუხებდით?**

—„სეპარაციო" ლათინური სიტყვაა და მოკვეთას, მოჭრას ნიშნავს. მოკვეთის კი არა, გამთელების, გაერთიანების მლოცველი და მნატვრელი გახლავართ. მაგრამ იმისათვის, რომ იყო ერთიანი და ძლიერი, საჭიროა ამ ერთიანობაში მყოფი ყოველი ელემენტი იყოს საღი, დიდი და ქმედითი. ქართველურ ტომთა სიდიადე და სიძლიერე—ეს იგივე საქართველოს სიდიადეა. ხოლო ვინც სხვანაირად ფიქრობს, სწორედ ის გახლავთ სეპარატისტი ანუ მომკვეთი.

**—ქართული ხალხური პოეზიის მეგრული ნიმუშების ავტორთაგან ვის გამოჰყოფდით?**

—უწინარეს ყოვლისა, ყოველი ჩვენგანისგან ულრმესი მადლობის სიტყვები ეკუთვნის ბატონ კალისტრატე სამუშიას უმშვენიერესი მეგრული პოეზიის ნიმუშების გადარჩენისა და გამომზეურებისათვის. მაგრამ ვინ იცის, რამდენი დაიკარგა და კიდევ რამდენია მისაკვლევი. რაც შეეხება შეკითხვას, რა თქმა უნდა, დანიელ ფიფია— ულრმესი ფილოსოფიური ტევადობისა და უმშვენიერესი მხატვრული ქმნილებების „ბორჯღალის", „როკის" და სხვათა ავტორი. ზარემ აქვე ვიტყვი, რომ სასურველია და აუცილებელი ამ სულგანათლებული შემოქმედის სახელი დაერქვას ქალაქის რომელიმე ქუჩას.

**—დღეს თუ იქმნება მეგრული ფოლკლორის ნიმუშები?**

—რა თქმა უნდა, იქმნება. საზოგადოება „აიასთან" მოქმედებს პოეზიის წრე. ჩემის აზრით მშვენიერ მეგრულ ლექსებს წერენ თენგიზ ფეტელავა, მზია ჯიჰონაია, ომიკო ქანთარია და სხვები.

**—„აიას" თავმჯდომარე?!**

—მეც დიდი ხანია ვწერ მეგრულ ლექსებს. ვცდილობ მათ გააჩნდეთ ხალხური ლექსების სიმსუბუქე. სახალხო მთქმელის „ტიტული" ჩემთვის ფრიად საამაყოა.

**—მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეგრული ენის ზრდებსაც იკვლევთ. რას გვეტყვით ამ მიმართულებით?**

—ძალიან მინდა არ ვიყო „გაბედული" მოსაუბრის როლში. მაგრამ ისიც არ შემიძლია დავმალო, თუ რა მძიმე ტვირთს შევჭიდებივარ. ჩემთვის, როგორც ექიმისათვის, მუშაობა მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების პრობლემებზე, არაა დილეტანტობა. მაგრამ მასთან დაკავშირებული ენათმეცნიერული მიმართებები ჩემს სპეციალობას არ განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ჩემი ზემოთგამოთქმული მოსაზრებანი მეგრული ენის შესახებ, დაახლოებით ორი ათეული წლის ნაფიქრალნააზრევის შედეგია. დამიგროვდა საკმაოდ დიდი მოცულობის სათანადო მასალა, რაც განზოგადებას, ანალიზსა და სინთეზს მოითხოვს. შედეგი მომავლის საქმეა. ვნახოთ...

**—ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!**

ესაუბრა ჯამბულ არქანია.

# „ისმინე, სწავლის მძებნელო!" ანუ გზა ტაძრისაკენ

[დასასრული]

**გაიყვანოს ეს 45 ოფტანელი წუთი. საკმარისი იყო ზუზი „მალახია" შემოფრენილიყო, მთელი კლასი დასაჭერად გაეკიდებოდა. ახლა კი შეულმუჰენის გადაფრენაც შეიძლება ვერ შევამჩნიოთ, ისე მონუსხულები** ვუსმენთ მასწავლებელს. არსაიძის სამყაროში გადასულები და სარკინოზებთან ბრძოლის ჟინით ანთებულები.

მე მაოცებს ჩემი მასწავლებლის დაუშრეტელი ენერგია და ცოდნის სიღრმე. დავფიქრებულვარ კიდევაც: საიდან ამდენი გამოცდილება. ალბათ, იქაც ერთვნული სული ტრიალებდა, სადაც მათ განათლება მიიღეს.

ფილოლოგი მაია თოდუა, ისტორიკოსი გია ალასანია, გერმანული ენის მასწავლებელი ნანა ქირია (ვისი წყალობითაც ამ ენის დაუფლებაზე შეჩერდა საბოლოოდ ჩემი არჩევანი). და ბოლოს, ჩვენი სკოლის დირექტორი გონელი პაპავა, სასწავლო ნაწილის გამგე ზურაბ კუპრეიშვილი, დირექტორის მოადგილე ექსპერიმენტის დარგში ზურაბ ბეჟვაია, ეს, მოკლე ხია ჩვენი სულის მოძღვართა, რომლებიც ქმნიან კლიმატს ეროვნულ სკოლაში.

**მინდა დავამთავრო ერთი შესანიშნავი, მაგრამ წარსულ დროში უადგილოდ და ხშირი ხმარებისაგან გაცვეთილი ფრაზით, რომელიც ყოველი წუნისმკეთებელი ქარხნის ალაყაფთან და ყოველი დაქცეული სოფლის შესასვლელზე ეწერა: „ჩემი ქარხანა ჩემი ნიამაყეა!"— „ჩემი სოფელი ჩემი ნიამაყეა!".** მე კი მინდ ამ სიტყვებს დავუბრუნო თავისი პირველშობილი პატიოსნება და ყოველგვარი ხმაურის, ლოზუნგის გარეშე გულში გავიფიქრო: „ჩემი ეროვნული სკოლა ჩემი სიამაყეა!".

გზა, გზა მიეცით ეროვნულ, ექსპერიმენტულ - პროფილირებულ სკოლას! ეს ის გზაა, რომელიც უთუოდ მიგვიყვანს ტაძართან.

მზექალა ზონია,
ზუგდიდის ეროვნული სკოლის კურსდამთავრებული.

# აღმოსავლეთელი „ბულბულების“ ვაი — „გალობა“

რომელიღაც უცხოელ მოგზაურს უთქვამს თბილისი ორსახოვან იანუსსა ჰგავს, რომელიც ერთი სახით აზიისკენ იცქირება, მეორეთი კი ევროპისკენო. ამაზე ნეტარხსენებული გურამ ასათიანი მოხდენილად შენიშნავდა: „აღმოსავლურს პლუს დასავლური უდრის ქართულსო“ და თან დასძენდა: აღმოსავლელებთან შედარებით ჩვენ, ცხადია ევროპელები ვართ, მაგრამ ევროპელებთან უშუალო კონტაქტისთანავე იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენში არის რაღაც მათგან განსხვავებული“...

სამწუხაროდ, აზიური ელფერი, აზიური ჩვევები თუ ზოგიერთი სიტყვები ისტორიულმა ქარტეხილებმა მოგვახვიეს თავს, თორემ ქართველები ევროპული სულის მქონენი ვართ, და რაოდენ ბრიყვია ის, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ამკვიდრებს ქართულ ყოფაში აღმოსავლურ ჩვევებს.

ბოლო ჟამს საქართველოში მოჭარბდა აღმოსავლური, ე. წ. სატრფიალო, მედონური თუ სხვა ტიპის სიმღერები, რომელსაც ეტყობა ქართველობამ უკვე მიაჩვია სმენა. სოკოებივით მომრავლებულ არალეგალურ ანსამბლებში ქართულ ტექსტს, საოცრად გაცვეთილს და პროვინციულს, აღმოსავლურ ჰანგებზე ბაიათებისგვარად რომ გაჰკივიან ქართველი ბიჭები. ჭიანურის გვერდით ელექტროგიტარებიც აზიურად „ქვითინებენ“, ვერაფრით დაიჯერებთ, რომ ეს სიმღერები ქართულია.

მართალია, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ჯიუტად მჯერა, ასეთი მუსიკა ადამიანის გემოვნებას ამდაბლებს მხოლოდ, სულს რყვნის და სმენას აუხეშებს. ნეტავ რამე კარგს გადმოვიღებდეთ ასე ბეჯითად, რა გაგვიჭირდა ისეთი, ქართული სიმღერები ბაიათებით რომ არ ავაკვნესოთ?

ერთხელ, ილიაობაზე, მსახიობ ნატო გაბუნიას დიდი მამულიშვილის საპატივცემლოდ თარი აუღია და ბაიათებით დაუმღერებია ქართული სიმღერა. პოეტი მიახლოებია მომღერალს, თარი ჩამოურთმევია და უთქვამს: ყველაფერი ჩემო ნატო, მაგრამ ბაიათს ნუ გამაგონებ... ბაიათი ყიზილბაშებმა მოგვახვიეს თავზე, როგორც ბევრი სხვა საძაგელი ჩვევაო. სულმნათ მგოსანს ხომ შეულონდებოდა გული დღევანდელი ბედდამწვარი რაყიფებისა თუ ტანჯული ტუსაღების ცხოვრებაზე აზიატურად აგდერებული ერზაც სიმღერებისათვის რომ მოესმინა, ასე უხვად რომ იფრქვევა ზუგდიდის ავტოსადგურთან, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის საავადმყოფოსთან და სხვაგან არსებულ ხმის ჩამწერ ჯიხურებში. ასეთი სიმღერების ჩანაწერებს განსაკუთრებული ხალისით იძენენ მძღოლები, გემოვნებასთან ცოტა არ იყოს მწყრალად მყოფი ახალგაზრდები და სარეველასავით ვრცელდება უკეთური საქმე.

ჩვენი ქვეყანა, მართალია პატარაა, მაგრამ უცნაური მრავალფეროვნება ახასიათებს ამ მცირე ტერიტორიას. იონა მეუნარგიას უბის წიგნაკში ჩაუწერია: „...მე პირველად გუშინ გავიგე ქართლელი კაცის დაძახების კილო. ილიამ დაუძახა... ბიჭს.

—თეედოო, ააი თედო!

ლეჩხუმელი ასე დაუძახებდა:

—თეეედოო, თედო!

მეგრელი:

—ვოო თედო, უუი!

გურული:

—თედო უი!“.

თუ ქართულ კილოებს შორის ასეთი ნიუანსური მრავალფეროვნებაა, მრავალფეროვნებით უფრო ტევადია ამავე კილოებზე მოლაპარაკეთა ხალხური სიმღერები, რომლებშიც ქართველი კაცის სულის გამოძახილია ჩაკირული თავისი ჭირვარამითა თუ ოცნება-სინამდვილით. მეგრულ სიმღერას არაჩვეულებრივი ლირიზმი ახასიათებს, გურულს მოხდენილი კრიმანჭული, სვანური ომახიანობით გამოირჩევა, კახური ლაღი სინარნარით და ა. შ. მათი მთლიანობა კი ქმნის ზოგად სახეს მაღალკულტურული და ძირძველი ქართული ეთნოსისა.

სამების ახსნას სიმღერასთან პარალელის გავლებით ახერხებდა პეტრიწი: მზახ—პირველი ხმაა, ჟირ—მეორე და ბამ-მესამე. მთელი მუსიკის საფუძველი არის ეს სამი ხმა, სამხმოვანება, ე. ი. მუსიკაც ამტკიცებს იმას, რომ სამება არის საფუძველი ყოველგვარი ყოფიერებისა.

ამ უმცირესი ისტორიული წიაღსვლით იმის მტკიცება მსურს, რომ ქართველი კაცი სიმღერას იშველიებდა [illegible] მოწევისას, ლაშქრობის ჟამსა თუ ფილოსოფიური აზროვნებაშიც. ბოლოს და ბოლოს მართალია, თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკა არ ბრწყინავს პროფესიონალიზმით, მაგრამ ჩვენ უფრო სხვა სახის, კერძოდ უკეთილშობილესი ხალხური მუსიკალური გემოვნებით აღზრდილი თაობა ვართ. ასეთი ხელიხელსაგოგმანები განძის მემკვიდრეთ კი არ გვეკადრება თუნდაც თანამედროვე საესტრადო სიმღერების ჟარგონებითა და აღმოსავლური ჰანგებით დანაგვიანება.

დამნაშავეა ნარკოტიკის დამამზადებელი, მაგრამ არანაკლებ დამნაშავეა მისი გამსაღებელიც. ზუგდიდის კულტურის განყოფილებას მართებს ჩვენში არსებულ ხმის ჩამწერ სტუდიებს დაუგზავნოს გაფრთხილება, ხსენებული „პროვინციული ჟანრის“ სიმღერათა გავრცელების აკრძალვის თაობაზე. სტუდიის მეპატრონენი თუ მხედველობაში არ მიიღებენ გაფრთხილებას, უნდა დაჯარიმდნენ ათასი მანეთის ოდენობით. თანხა სასურველია ზუგდიდის ფონდში გადაირიცხოს. მიუხედავად ჯარიმის გადახდისა, კვლავ თუ ექნა ადგილი დანაშაულის გამეორებას, მეპატრონეთ უნდა აეკრძალოთ მუშაობა. საზღვარგარეთულმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეკონომიკური „დასჯა“ ყოველნაირ დასჯაზე ქმედითია.

ჯერჯერობით კი ძველებურად, აღმოსავლურად „გ ლობენ ვერანა ბულბულები!“.

ზვიად ჟურულია.

# ინდივიდუალურ მეფუტკრეობას — მწვანე გზა

მეფუტკრეობა ოდითგანვე ცნობილია საქართველოში. მეფუტკრეობის ამ შესანიშნავ, მეტად ხასიათო დარგს უკანასკნელ პერიოდში მოაკლდა ყურადღება, რაც რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზითაა განპირობებული. თაფლი, ცვილი, ჭეო, ყვავილის მტვერი, პროპოლისი, ფუტკრის შხამი და სხვა უებრო სამკურნალო საშუალებებია.

1860 წელს გენერალ-ადიუტანტი თავადი ორბელიანი იმპერიის სახელმწიფოებრივი ქონების მინისტრს წერილობით სთხოვდა გამოეგზავნა თბილისში 4 საუკეთესო მეფუტკრე, რომლებსაც დამთავრებული ექნებოდათ პროკოპოვიჩის სკოლა. რისთვის სჭიროდებოდა ეს ოთხი კაცი? იმისათვის, რათა ისინი გაეგზავნა გურიის თავად ნაკაშიძესთან, რომ ამ უკანასკნელს დახმარებოდნენ საფუტკრე მეურნეობის გამართვა-გამრავლებაში...

მეფუტკრეობას სიყვარულით მისდევდნენ ზუგდიდშიც. საამისოდ მაშინ ყველა პირობა არსებობდა. ახლა კი ჩვენს ქალაქსა და რაიონში ინდივიდუალური მეფუტკრეები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მათ შორის ამ სასარგებლო საქმეს დიდი რუდუნებით ემსახურებიან შოთა უბირია, ვალოდია ფიფია, ევგრაფი უბილავა, კაკო შენგელაია, ელგუჯა ქარდავა, არშაველ კვარაცხელია, [illegible] ფიფია და სხვები. მთავარი პრობლემა, რაც [illegible] წელს მეფუტკრეობის განვითარებას, მიწის ნაკვეთის სიმცირეა. მეფუტკრეს უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთი, რომ გაამრავლოს ფუტკრის ოჯახი, გააშენოს აკაციის ბაღი, სხვა ხეხილი, დათესოს მზესუმზირა. გვჭირდება აგრეთვე სპეციალისტის კომპეტენტური რჩევა-დარიგება. ამ მიმართებით სასარგებლო საქმეს აკეთებს მეფუტკრეობის დარგის ჩინებული მცოდნე ბატონი აპოლონ ქარცხია. იგი დიდად გვეხმარება მეფუტკრეებს მთელი რიგისა კითხების მოგვარებაში. და მაინც ჩემი აზრით, მთავარი ხელშეწყობა ის იქნება თუ მეფუტკრეებს გამოგვიყოფენ გარკვეულ მიწის ნაკვეთს, რაც უზრუნველყოფს ამ დარგის განვითარებას.

მე, როგორც მეფუტკრეს, სრულებითაც არ მიმაჩნია მისაღებ ფაქტად ის, რომ ბაზარში კილოგრამი თაფლი 30 მანეთი ღირს. ცეცხლი უკიდია სხვა პროდუქტებსაც, მაგალითად, ყველს. ვიცი, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული ასეთი სიძვირე, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ პურისა და სხვა პროდუქტების ფასდაკლება განახორციელა. მის ასეთ ზრუნვას ჩვენდამი რითი შევძლებთ ვუპასუხოთ. ალბათ, იმით, რომ ჩვენ, მწარმოებლებმა, მომხმარებელს მამასისხლად არ მივყიდოთ პროდუქცია, დავინდოთ, ტყავი არ გავაძროთ ერთმანეთს.

ალიოშა ცანავა,
მეფუტკრე.

# რა არის, თუ არა საბოტაჟი?!

მთელი იმპერია არნახულ კრიზისს განიცდის. ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალია. მდგომარეობის სიმძიმე პერიფერიებში უფრო რთულდება. ეროვნული მოძრაობის საბაბით ცენტრმა ლამისაა ეკონომიკურ ბლოკადაში მოგვაქციოს, მაგრამ ყველაფერს ვუძლებთ „წითელი მანქანისგან“ თავდახსნის იმედით.

კარაქის, ძეხვის გემო უკვე დაგვავიწყდა და ასეთ დროს... ჰოი, საოცრებავ, გადაყრილია ტონობით სურსათი...

ასეთ სურათს წააწყდნენ მოსახლეობა და ზუგდიდის ხელმძღვანელი მუშაკები ზამგონისა და ხურჩის საზღვარზე მდინარე ენგურის ნაპირთან.

არც კი იცი კაცმა რა იფიქრო, რას მიაწერო ყოველივე ეს, ან რა დაარქვა იმ ადამიანებს, ვინც ამ გაჭირვების ჟამს ქვეყნის დოვლათს მიწაში მარხავს.

ცხადია, პროდუქტი გაფუჭდა და ამიტომაც გადაიყარა, მაგრამ სანამ გაფუჭდებოდა, რა უშლიდა ხელს მის რეალიზაციას? —გამდიდრებას გამოკიდებული ადამიანის ფსიქოლოგია, სხვის ჭირზე ხელის მოთბობის ჟინი, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ესაა საბოტაჟი, ხოლო ასეთ საქციელს ვინც სჩადიოდა, ხალხის მტრად ინათლებოდა და საკადრისიც ეზღვებოდა. აი, სადაა საძებნი ხალხის მტერი.

დღეს, როცა ასე გვჭირდება ერთმანეთის მხარში ამოდგომა საქმით და არა ლიტონი სიტყვით, ასე გვჭირდება ერთიანობა, ქართველი ქართველს ლუკმას აცლის პირიდან, თანაც გულში ხელის ბრაგუნით პატრიოტობას ვუმტკიცებთ ერთმანეთს.

თავისუფლებას ის ერი მოიპოვებს, ვინც ამის ღირსია. თავისუფლებას უმრავლესობის თავგანწირვა სჭირდება. ჩვენში არ უნდა ბოგინობდნენ წამლეტები, საკუთარი, ვიწროპირადული ამბიციებით შეპყრობილნი.

სწორედ მათ გამოსააშკარავებლად შეიქმნა კომისია მთავრობის, მილიციის, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან, რომელიც ყოველ ღონეს იხმარს დამნაშავეთა დასადგენად.

მსგავსი დანაშაულის ჩამდენნი ხალხის სამსჯავროზე წარსდგებიან და კანონის მთელი სიმკაცრით, უშეღავათოდ დაისჯებიან.

## უბრალო ადამიანებზე

# ხელოსანი

ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივში არა ერთი ნამუსიანი მკერავი, მეთუნუქე თუ სხვა დანიშნულების მომსახურე პერსონალია დასაქმებული. მათ შორისაა მკერავი გვანჯი აქსენტის ძე ქოჩუა, რომელსაც ხელობა, განთქმულმა მკერავმა, ცნობილმა მომღერალმა — მიხეილ ჩიხლაძემ შეასწავლა. ნიჭიერი გამოდგა შეგირდი. მისი ნაკერავი მამაკაცის ტანსაცმელი გამოირჩევა მოხდენილობითა და აკურატულობით.

თავადაც აკურატული კაცია გვანჯი. უყვარს ადამიანები და თავის ამქრებთან პურის გატეხა. წლების მანძილზე შეთვისებულ საკერავ მანქანასთან ზის ხელოსანი, ლამაზად გამოყავს ნაკერავი.. კმაყოფილი უნდა დარჩეს კლიენტი, სხვანაირად ვერ წარმოუდგენია ოსტატს, რამეთუ ასე ასწავლა დიდმა ოსტატმა მიხეილ ჩიხლაძემ ამქართა შორის გამორჩეულმა პიროვნებამ.

ვ. ანდრიაძე.

# ქვლავას მრავალგზის!

პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდია როლი პირველი მასწავლებლისა. ჩვენც სასოებით მივაბარეთ ჩვენი შვილები ქალაქის მეორე საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს ციალა მოლაშხიას.

პირველი დღეებიდანვე ნათელი იყო, რომ ჩვენს შვილებს ფართო განათლების მქონე მაღალი ინტელექტის აღმზრდელი ჰყავდა. ამის დასტური იყო გამოსაშვები საღამო. ბავშვებმა ნათლად წარმოაჩინეს თავიანთი მრწამსი — სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, დედაენის პატივისცემა.

დოდო დიდიშვილი,
მზია ახვლედიანი,
ლია კვირტია,
მშობლები.

# ნუ ჩავუქრობთ იმედს...

„თვალები სულის სანათიაო" წერია სახარებაში. ყურადღებით თუ დაუკვირდებით კობა რეზოს ძე ყურაშვილს, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში. ლამაზ თვალებში სევდა ჩადგომია ბიჭუნას. ალბათ იმიტომ, რომ ასაკის კვალობაზე (13 წლისაა) საკმაოდ ბევრი ტკივილი გადაიტანა: თანდაყოლილი კომბინირებული გულის მანკი,— ასეთია ექიმის დიაგნოზი. 1983 წელს მოსკოვში, გულის ოპერაცია გაუკეთდა, რომელმაც სამწუხაროდ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

გახსოვთ ალბათ, ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისს ამერიკელი სპეციალისტები ესტუმრნენ. კობა და მისი მშობლებიც დიდი იმედით მიეახლნენ მათ, მაგრამ... ჩვენთან არსებული სამედიცინო აპარატები არ აღმოჩნდა საკმარისი რთული ოპერაციის სათანადოდ ჩასატარებლად. ქირურგებმა მშობლებს ურჩიეს ბავშვი მათთან, საზღვარგარეთ ჩაეყვანათ. ვიზის გამოგზავნასაც შეჰპირდნენ. თითქოს გამოჩნდა ხსნის გზა. თუმცა... საზღვარგარეთ გასამგზავრებლად დაახლოებით 30 ათასი დოლარია საჭირო. ერთი უბრალო ქართული ოჯახისთვის კი, მოგეხსენებათ, რამდენად მიუწვდომელია პატიოსანი შრომით ამ თანხის შეგროვება. არადა, დრო გადის. ბავშვს სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.

სევდასთან ერთად იმედი კრთის კობას თვალებში. ნუ ჩავუქრობთ პატარას გადარჩენის ამ იმედს.

ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲗ: ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლის კობა ყურაშვილის სახელზე გახსნილია ანგარიში ბინსოცბანკში №70035.

---

ზუგდიდის ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო გაუწყებთ, რომ 1991 წლის 3 ივნისიდან ზედაეწერის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სპორტკლუბის დარბაზში მუშაობას შეუდგა სპორტული კარატეს მომეცადინეთა ჯგუფი როგორც მოზარდების, ასევე მოზრდილების.

მეცადინეობას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ნწვრთნელი დავით შოთას ძე ბულია.

მეცადინეობა კვირაში სამი დღეა 15 საათიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონულ საბჭოს. პაპანინის მეოთხე შესახვევი №3. ტელეფონი 2-29-36.

---

ხობის რაისაავადმყოფოში 3 ივნისიდან 10 სექტემბრამდე იმუშავებს ექოსკოპიის კაბინეტი, რომელსაც მოემსახურება თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს მაღალკვალიფიცირებული ექიმი-ექოსკოპისტი.

ექოსკოპიით ისინჯება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, თირკმლები, პანკრეასი, ელენთა, შარდის ბუშტი, საშვილოსნო, საკვერცხეები, ორსულობა, პროსტატა და ფარისებრი ჯირკვალი.

- კაბინეტი იმუშავებს 9-დან 14 საათამდე. გამოკვლევა ფასიანია.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

---

შვილები დურუ, ვარდო, ნელი, ნანული, ძმები ლადო გვიჩიანი, ჯოკია კვიციანი, რძლები სონია კვიციანი, კატია ჯანელიძე, ცოლისდა დომნა ჯანელიძე, ქვისლი დათიკო ეფრემიძე, შვილიშვილები ზურაბ, გიმზერ კვიციანები. ნონა, ნუნუ, ჯონი, გოჩა, ქეთინო, ელისო, იამზე, კობა კილასონიები, დარეჯანი, როზა, მედიკო, ზვიად, ირმა, ხათუნა ბიგვავები, ნუგეში, ჯამბულ ჯობავები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**დათიკო თედორეს ძე კვიციანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივნისს. დაკრძალვა 8 ივნისს სოფ. ნარაზენში.

---

მეუღლე მარგო, შვილები: ლეილა, ოთარი, დათო, და ხუტა, ძმისშვილი ნონა, რძლები: ნუნუ ფაცურია, მაია ცანავა, სიძეები: იგორ ოთხოზორია, ბადრი შამუგია, შვილიშვილები: კახა, იკა, დათა, მაკა, ეკა, ალიკა, მელორი, რობერტი, ლალი იუწყებიან

**დაფინტი დუშას ძე კიკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს სოფ. ორსანტიაში.

---

მეუღლე დათუშა, შვილები: დემური, ნონა, ნარგიზა, რუსიკო ჯიშკარიანები, ძმა აკაკი ჩიხლაძე, და ტანია, რძალი ზოია ანთია, სიძეები: მურთაზ ლომია, თამაზ ნახუცრიშვილი, მეგონა აბსავა, შვილიშვილები: დათო, მამუკა, ნატო, ნინო, თემური, ნინო, ნათია, ლევანი, მულები: მაშიკო, ოლია, ზინა, ლიზა, ძმისშვილები: ენვერი, ჟოზეფინა, ჯემალი, ჯიმშერი ჩიხლაძეები, დისშვილები: მიმოზა, მაყვალა, დარეჯანი, გენადი, ნუნუ აბსავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დუნია ბარნაბას ასულ ჩიხლაძე-ჯიშკარიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ივნისს. გამოსვენება 9 ივნისს სოფ. ჭითაწყარი, რუსთაველის ქ. 203-დან. დაკრძალვა სოფელ ჯიხაშკარში.

---

№12 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის

**ჯილდა ივანეს ასულ თოდუნია-ყალიჩავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲢᲐᲥᲡᲔᲑᲘ?

ყოველდღიურად და განსაკუთრებით პარასკევ-კვირა დღეს უამრავი ხალხი იყრის თავს ქალაქის ტაქსების მთავარ გაჩერებასთან, სადაც მგზავრები საათობით ელოდებიან ტაქსის გამოჩენას. მოთმინებასაც საზღვარი აქვს და დაქანცული მგზავრები შუა ქუჩაში გამოდიან, რათა კერძო მანქანა მაინც დაიქირავონ. შუა ქუჩაში მდგომნი ცხადია არღვევენ მოძრაობის წესებს. ხელს უშლიან ტროლეიბუსებისა და ავტობუსების გაჩერებას დანიშნულ ადგილზე. ასე გრძელდება განუწყვეტლივ, გამკითხავი არავინაა.

მგზავრთა უსაფრთხოებისათვის არაფერი კეთდება, საფრთხე ემუქრება როგორც ბავშვებს, ასევე მოხუცებსაც. ეს კი ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ყოველივე ეს არ იქნებოდა, ქალაქს რომ ნორმალურად ემსახურებოდეს ტაქსები. ამ ორიოდე წლის წინ ტაქსები იდგნენ მგზავრების მოლოდინში. გასაგებია, რომ ყველა მათგანი დღეს ვერ იქნება სამუშაოდ ვარგისი, მაგრამ ხომ შემორჩა გარკვეული ნაწილი, სად გაქრა ისინი? ახლა მხოლოდ კერძო ტაქსებს თუ ნახავ, სახელმწიფოს იშვიათად. ტაქსოპარკს ნუთუ არ ევალება ზრუნვა მგზავრებისთვის მაშინ, როცა ავტობუსები სრულიად არარეგულარულად მოძრაობენ?

არ მეპასუხოთ, ბენზინი არ არისო. ხომ არის იგი მანეთად და უფრო მეტად, როცა იყიდება მავანი გადამყიდველებისაგან?

სანამ საზოგადოებრივ საქმეებს არ მოვაწესრიგებთ, მანამ წინ ვერ წავალთ.

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც ტრანსპორტის საქმე ეხება.

ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ,
შრომის ვეტერანი.

**რედაქტორი**
**ᲐᲙ. ᲨᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ.**

---

მეუღლე ვარგინა, შვილები მერაბი, ბადრი, ნატო, ძმა ნოდარი, რძლები მიმოზა, თინა, ია, ლამარა, ირინა, სიძე რუზვენ ჯიჭონაია, შვილიშვილები: სლავიკი, ანა ალექსანდრიები, ლევან ჯიჭონაია, ძმისშვილები: გია, მალხაზი, დეიდაშვილები: ვალიკო ბიჩვაია, ბაგრატ, შოთა ფილიპიები, შუშანიკა არახამია, ლუბა ტურავა ოჯახით, სიდედრი ვენია, ცოლისძმები მურმანი, ტერენტი ბულიები, ცოლისდა რაისა, ქვისლი ნოდარ ჯაბუა, ბიძაშვილები: ვალოდია, სულიკო, ვარდო ალექსანდრიები. მამიდაშვილები: ტოტო, ნელი ფოფხაძეები, ანიკო, ველოდი, ფაფალა, ლეილა, მზია, ლალი, დინარა, ლონდა ალანიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ამბაკო ბაგრატის ძე ალექსანდრიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს ნაწულუკუში. გამოსვენება გამარჯვების ქუჩა 137.

---

შვილები: გურამი, ონერი, ლადო, ძმა იროდი, და ვენერა, მაზლი არისტრახო, მულები: ქენია, ჟუჟუნა, რძლები: ვალია, ძაბული, ასმათი, ციცინო, ნათელა, შვილიშვილები: ასმათი, თამარი, ნინო, გიორგი, გვანცა ლოგუები, ძმისშვილები დემური, ჯემალი, ნატო კუტალიები, დისშვილი თამაზ შედანია, მულიშვილები ლუარა ქირია, დალი, ზურაბ კიკავები, მაზლიშვილები: თორნიკე, ნათელა, ნონა, შორენა, მარინა, რამაზი, გიორგი ლოგუები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაბუცა ლეონტის ასული კუტალია-ლოგუა.**

პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფელ ახალკახათში.

---

მეუღლე ლუნა, შვილი შოთა, რძალი ეკა, შვილიშვილი შოთიკო, დისშვილები მაია რაფავა, რეზო, თენგიზ ნოვეიშვილები, ძმისშვილები: ჯემალი, ზურაბი, თემურ ცხაკაიები, სიძე ბადურ ჯანაშია, ბიძაშვილი ლეონტი, ცოლისდა თაშიკო, ცოლისძმები იურა, ცხოფო ფიფიები, რძლები: ეთერი, ციალა, ქვისლი ინდიკო კუკავა, მზახალი დალი ნებიერიძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა აქვსენტის ძე ცხაკაია.**

პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს, ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ნეკრასოვის ქ. 7-დან.

---

დები: შუშუ, ლიდია, დისშვილი მაკარი გუგუჩია, რძალი ნანული ოჯახით იუწყებიან

**ნატაშა სისოს ასულ თოლორაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ოდიშში (სინწა).

---

დედა გული, დები: როზა, ხათუნა, ძმები: გია, მამუკა, ბიძა ინდიკო ანთია, დეიდები: მერი, რენო ლაშხიები, სიძეები: რუზვენ იურჩიკოვი, ბესარიონ ალფენიძე, ბიცოლა: ნადია ჯიჯავაძე, ჟანა თორია, ტანია სარია, დისშვილები: თათია იურჩიკოვი, სოფიკო, ანიკო, თამრიკო, მურმანი ალფენიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**მურმან კოლიას ძე ანთიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივნისს. დაკრძალვა 8 ივნისს ჭითაწყარში. გამოსვენება რუსთაველის ქ. 171.

---

გოჩა, ხვიჩა და კახა ჩილაჩავები ოჯახით იუწყებიან ბიძაშვილის

**ოთარ შალიკოს ძე ჩილაჩავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: გივი, აკული, ნელი, ეთერი ბერაიები, და ნუცა დარასელია, ძმა ურიში სურაძეები, სიძეები ნოდარ სხულუხია, გონერი ესართია, ნოდარ ფირცხელავა, შვილიშვილები: აზა, ელგუჯა, გია ესართიები, ვახტანგ სხულუხია, კახა ლელა ფირცხელავები, იზა, მანანა, სლავა ბერაიები, მაზლი ვანო ბერაია, რძალი სულიკო პაჭკორია, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ოლგა სტეფანეს ასულ ჯოლოხავა-ბერაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივნისს. დაკრძალვა 8 ივნისს სოფელ ხიცერაში.

---

მეუღლე ჟუჟუნა, შვილები მაია, მარიკა, და ლამარა, სიდედრი ზინა, სიმამრი მამადა შურღაია, სიძეები: ხვიჩა შარია, ბადრი სიგუა, რძალი ელმირა, შვილიშვილები: რობერტი, ელისო, ძმისშვილები ვასიკო, მანანა, დისშვილები დალი, მაყვალა ჯაკობიები, მზახლები: რეზო, ნათელა შარიები, გოგი, მერი სიგუები, ბიძაშვილები, მამიდაშვლები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**რობიზონ ვასილის ძე მჭედლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივნისს. დაკრძალვა 8 ივნისს. გამოსვენება 18 საათზე სოფ. ინგირი დარასელის ქ. 1-დან.

---

შვილი გურამი, რძლები როზა ბუავა, ხათუნა შარია, შვილიშვილი როსტევან, და პისტი, დისშვილები: ციალა, ნაირა, ალეკო ანთიები, ძმისშვილები: ბაბუში, ქვათი ჯიჭონაიები, მამიდაშვილები: ვენია, მაურა, სერგო, ლეილა, ჟუჟუნა, თინა შედანიები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ქიონია არსენას ასულ ჯიჭონაია-ღურწკაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. შამგონაში.

---

დედა ფიდოსია, მეუღლე გოგო, შვილები ინეზა, ცინარა, სოსო, დაჟუნა, ძმა დათიკო, სიძე გენო ფაჟავა, შვილიშვილი გრეტა, ცოლისძმა ჟორა ერქვანია, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კონწო მელიტონის ძე ექოწიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივნისს. გამოსვენება 9 ივნისს ქ. ზუგდიდი, ნიკოლაძის ქ. 13-დან. დაკრძალვა სოფელ კახათში.

---

მეუღლე თოლიკო, შვილები: მურთაზი, თენგიზი, თამაზი, დენიზა, შვილიშვილები: აზა, ზაზა, ზურიკო, ირაკლი, ილიკო, გაგა, თათია ჯალაღონიები, რომეო, რობერტი ხასაიები, ძმები: ჟორჟი, დურუ. ძმისშვილები: ჯამბული, მარინა, კახა, ხათუნა ქურდულიები, რძლები: ნაირა, ელისო ლაგვილავები, ნინო სამუშია, ლიზიკო თორდია, ლამარა აბრალავა, ალინა მორგოშია, მულები: სონია, ჟუნა, მაზლი ნოკოშა ჯალაღონიები, მაზლიშვილები: თინიკო, ციური, ბედიშა, მზია, ედიშერი, მივლერი, ანზორი, გული, ნინელა ჯალაღონიები, მულისშვილები: მარგო, შინო, თინიკო, ლუარა, ზური შელიები, ვაჟა, სერიოჟა, ლუიზა ჯურხანძეები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნათელა ნიკას ასულ ქურდულია-ჯალაღონიას**

გრდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 11 ივნისს რიყეში.

---

დეიდა ოლღა, ბიძიები გრიშა, ტერენტი, ბიცოლები ნათელა, ნელი, ბიძაშვილები, ლეილა, ლალი, ბადრი და თენგიზი ახალაიები იუწყებიან

**თამაზ იროდის ძე გოგუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ივნისს სოფელ ნაფიჩხუში (ჩხოროწყუს რაიონი).

---

მეუღლე ბაბუცა, შვილები: ვაჟიკო, გურამი, ნაირა, მედიკო, ვალერი, ვალიკო, ძმა ამბაკო, რძლები: მარო შანავა, ლიანა კვარაცხელია, შინო ფიფია, ნატო აკობია, ლუიზა მორგოშია, მირანდა გოგოხია, სიძეები: სერგო გელენავა, კუკური აკობია, დეიდა ოლია თორდია, შვილიშვილები დედიკო, ნანი, ბესიკ, ხათუნა, მაია აკობიები, ზეიმ გელენავა, ელდარ, კახა, ინდირა, ლალი, ია, მამუკა, ალიკა, ჟიულერ, ლევან ციმინტიები, ძმისშვილი ნატო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ივლიანე ელიზბარის ძე ციმინტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივნისს. დაკრძალვა 8 ივნისს სოფ. ტყაიაში.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66507 ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-..

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №50, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. 2303